## ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

## ო ქ მ ი №01-06/06

დაბა ქედა, 4 ივნისი, 2021 წელი

**სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე**
**სხდომა დამთავრდა: 12:00 საათზე.**

**სხდომას თავმჯდომარეობდა შუქრი თურმანიძე** - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

**სხდომას ესწრებოდნენ:**
რომან დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ამირან დევაძე - სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
რეზო თურმანიძე - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
გოჩა გორგილაძე - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
სილოვან ბერიძე - ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ვაჟა ბოლქვაძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარე;
როსტომ შერვაშიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე;
კარლო თურმანიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარის მოადგილე;
უშანგი დუმბაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
მზია ბოლქვაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველების“-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ტარიელ მანველიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველები“-ს თავმჯდომარე;
ოთარ ბოლქვაძე - საკრებულოს წევრი;
ამირან ცინცაძე - საკრებულოს წევრი;
ბადრი შავლიძე - საკრებულოს წევრი;
რამინ ბერიძე - საკრებულოს წევრი;
თემურ ავალიანი - საკრებულოს წევრი;
რამინ ბერიძე - საკრებულოს წევრი;

**სხდომას არ ესწრებოდა:**
არჩილ გორგილაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარე;
ზაქარ ზარამიძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მამუკა გოგოლიშვილი - ფრაქცია ,,ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ზურაბ თავდგირიძე - საკრებულოს წევრი;
გენადი არძენაძე - საკრებულოს წევრი;
გოჩა გათენაძე - საკრებულოს წევრი;

**სხდომას ასევე ესწრებოდნენ:**
მუხრან სალაძე- საკრებულოს აპარატის უფროსი;
ნონა თებიძე- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/06 მორიგი სხდომა

4 ივნისი 2021 წელი

| № | სახელი, გვარი | თანამდებობა | ხელმოწერა |
|---|---|---|---|
| 1 | შუქრი თურმანიძე | საკრებულოს თავმჯდომარე | |
| 2 | რომან დავითაძე | თავმჯდომარის მოადგილე | |
| 3 | ამირან დევაძე | კომისიის თავმჯდომარე | |
| 4 | რეზო თურმანიძე | კომისიის თავმჯდომარე | |
| 5 | გოჩა გორგილაძე | კომისიის თავმჯდომარე | |
| 6 | სილოვან ბერიძე | კომისიის თავმჯდომარე | |
| 7 | ოთარ ხარაძე | კომისიის თავმჯდომარე | |
| 8 | არჩილ გორგილაძე | ფრაქციის თავმჯდომარე | |
| 9 | ვაჟა ბოლქვაძე | ფრაქციის თავმჯდომარე | |
| 10 | როსტომ შერვაშიძე | ფრაქციის თავმჯდომარე | |
| 11 | ტარიელ მანველიძე | ფრაქციის თავმჯდომარე | |
| 12 | კარლო თურმანიძე | ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე | |
| 13 | მამუკა გოგოლიშვილი | ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე | |
| 14 | ბაქარ ბარამიძე | ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე | |
| 15 | უშანგი დუმბაძე | ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე | |
| 16 | მზია ბოლქვაძე | ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე | |
| 17 | ამირან ცინცაძე | საკრებულოს წევრი | |
| 18 | ბადრი შავლიძე | საკრებულოს წევრი | |
| 19 | ოთარ ბოლქვაძე | საკრებულოს წევრი | |
| 20 | ზურაბ თავდგირიძე | საკრებულოს წევრი | |
| 21 | თემურ ავალიანი | საკრებულოს წევრი | |
| 22 | რამინ ბერიძე | საკრებულოს წევრი | |
| 23 | გენადი არძენაძე | საკრებულოს წევრი | |
| 24 | გოჩა გათენაძე | საკრებულოს წევრი | |

სხდომის თავმჯდომარე შუქრი თურმანიძემ დღის წესრიგის წარდგენამდე გააკეთა განცხადება მუნიციპალიტეტში წარმატებით დასრულებული სახნავ-სათესი სამუშაოების თაობაზე და ისაუბრა მიმდინარე პერიოდისათვის მთებში ელექტრო გადამცემი ხაზების განთავსების პროცესის დაწყებაზე.

შემდეგ დასამტკიცებლად წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 4 ივნისის №01-06/06 რიგგარეშე სხდომის დღის-წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

**1. „„ქედის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

**მომხსენებელი:** მერიის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე
**თანამომხსენებელი:** საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: რეზო თურმანიძე

**2. „„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

**მომხსენებელი:** მერიის იურიდიული და
ადამიანური რესურსების მართვის
განყოფილების უფროსი: სულიკო ჩხიკვაძე
**თანამომხსენებელი:** საკრებულოს სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე

**3. „„საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის, საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 31 მაისის №13 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

**მომხსენებელი:** საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ამირან დევაძე

დღის წესრიგის დამტკიცებამდე სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მერიიდან დამატებით შემოსული საკითხი ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (შემოსული დოკუმენტი) და განმარტა, რომ გადაუდებელი აუცილებლობა მოითხოვს საკითხი დამტკიცებული იქნას მიმდინარე სხდომაზე და დღის წესრიგში საკითხის დამატებით განხილვის გზით.

საკრებულოს წევრებს დღის წერიგში საკითხის დამატების თაობაზე შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი საკითხის დამატების წინადადებით წარმოადგინა შემდეგი სახით:

**1. „„ქედის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

**მომხსენებელი:** მერიის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე
**თანამომხსენებელი:** საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე: რეზო თურმანიძე

**2. „„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

**მომხსენებელი:** მერიის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი: სულიკო ჩხიკვაძე
**თანამომხსენებელი:** საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე

**3. „„საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის, საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 31 მაისის №13 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

**მომხსენებელი:** საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ამირან დევაძე

**4. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

**მომხსენებელი:** მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე

**სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი კენჭისყრაზე დააყენა:**
**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე - 18**
**წინააღმდეგი - 0**

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

**დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 4 ივნისის №01-06/06 რიგგარეშე სხდომის დღის-წესრიგი წარმოდგენილი სახით.**

**1. მოისმინეს: „„ქედის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

მომხსენებელმა ჯემალ ტაკიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა „„ქედის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (შემოსული დოკუმენტი №47/04, 28.05.2021 წელი) და განმარტა , რომ ცვლილების შესაბამისად, ქედის ადგილობრივი ბიუჯეტი 1 602 600 ლარით გაიზარდა, რაც მნიშვნელოვანი საკითხია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისათვის:

## ქედის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შესატანი ცვლილების რეესტრი

| № | პროგრამული კოდი | დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | თანხა +/- | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | 05 01 01 | ა.ა.ი.პ ქედის სასპორტო სკოლა | 54 000 | საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები 54000 |
| 2 | 01 01 02 | იაპონიის საელჩოდან მიღებული გრანტი | 252 055 | იაპონიის საელჩოდან მიღებული გრანტი ელექტრო მიკროავტობუსის შეძენა (77235*3,2636=252055) |
| 3 | 02 06 | სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 750 000 | აჭარის ა/რ ფონდიდან გამოყოფა |
| 4 | 04 01 01 | ა.ა.ი.პ ქედის ბაგა ბაღების გაერთიანება | 65 000 | საქონელი და მომსახურება 55000 ₾ არაფინანსური 10000 |
| 5 | 05 02 01 | კულტურის ცენტრი | 23 400 | ტრანსპორტის შეძენის ხარჯი 23400 |
| 6 | 02 05 03 | ღვინის ფესტივალი ქედაში | 25 000 | |
| 7 | - | ნაშთი | 600 545 | ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთი |
| ჯამი | | | 1 770 000 | |

| № | პროგრამული კოდი | ასიგნებების დასახელება | თანხა +/- | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | 01 01 02 | მერია | 391 580 | ელექტრო მიკროავტობუსის შეძენა (75735*3,2635=247160), დღგ 44525; აუდიტის ხარჯი (1500*3,2993=4895) ელექტრო მიკროავტობუსის ავტოფარეხის მშენებლობა 50 000 ₾, ელექტროენერგია 25000 ₾; საწვავის შეძენა 10000 ₾; საქონელი და მომსახურების ხარჯი 10000 ₾; შრომის ანაზღაურებიდან სოციალურ უზრუნველყოფაში 5620 ₾. |
| 2 | 01 01 01 | საკრებულო | 5 000,00 | საქონელი და მომსახურეობა |
| 3 | 01 02 01 | სარეზერვო ფონდი | 10 000,00 | სხვადასხვა ხარჯები |
| 4 | 01 02 03 | მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებითი მონაწილეობა საგრანტო და ადგილობრივ პროექტებში | 0 | სხვადასხვა ხარჯებიდან არაფინანსურში 43776 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 5 | 02 03 01 03 | ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველ მაისში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა | 3 800 | (მშენებლობაზე ტექ ზედამხედველობის მომსახურეობის ხარჯი) |
| 6 | 02 03 03 02 | დაბა ქედაში ფრიდონ ხალვაშის სახელობის ქედის ცენტრალური პარკის კეთილმოწყობა | 14 400 | არაფინანსური |
| 7 | 02 08 | შ.პ.ს. ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი | 79 680 | სუბსიდია 42680 ღვინის ფესტივალი ქედაში 25000 ₾ და არაფინანსური აქტივი გენერატორის შეძენა 12000 ₾ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 8 | 03 01 01 | შ.პ.ს. ქედის კომუნალურსერვისი | 71 000 | შრომის ანაზღაურება 10000, ელექტრო ენერგია 50000, ტრანსპორტი (ტრაქტორების რემონტი) 11000 |
| 9 | 04 01 01 | ა.ა.ი.პ ქედის ბაგა ბაღების გაერთიანება | 150 000 | (შრომის ანაზღაურება 150000, შრომის ანაზღაურებიდან სოციალურ უზრუნველყოფაში 700 ₾) |
| 10 | 05 01 03 01 | საფეხბურთო კლუბის მხარდამჭერი ღონისძიებები | 15 900 | ავტომანქნის რემონტი 2900 და სასწავლო-საწვრთო შეკრება 13000 |
| 11 | 05 02 01 | ა.ა.ი.პ ქედის კულტურის ცენტრი | 14 700 | (ტრანსფორმატორი და მარეგულირებელი 3200, აუდიტის საწევრო 3000, მყარი დისკი 500 ₾(საქონელი და მომსახურება), ადმინისტრაციული შენობის რემონტი 4000₾ საწვავი 2100, ელექტრო ენერგია 1900 ₾ შრომის ანაზღაურებიდან სოციალურ უზრუნველყოფაში (950+345=1295 ლ) |
| 12 | 05 02 02 | ააიპ ქედის ხელოვნების სკოლა | 1 000 | აუდიტის მემორანდუმი 1000 |
| 13 | 05 02 03 | ააიპ ქედის ისტორიული მუზეუმი | 8 100 | საქონელი და მომსახურეობა მათ შორის: აუდიტის მემორანდუმი 1000, საწვავის ხარჯი 1800 და 4900 ექსპედიციის ხარჯი, ელექტრო ენერგია 400 |
| 14 | 05 01 01 | ააიპ ქედის სასპორტო სკოლა | 47 350 | საქონელი და მომსახუროვბა სპორტული ღონისძიება 1800 და 11500 ₾ ელექტროენერგია 4800, საწვავის 500, მოედნის კვარცი და სასუქი 4400, ტრანსპორტის ექსპლოატაციის ხარჯი 1800 ₾ შტატგარეშე მომსახურება გოგონათა კალათბურთის მწვრთნელი (450*7=3150) მუხლებს შორის თანხის გადატანა ( საქონელი და მომსახურებიდან სხვა ხარჯებში 1500, არაფინანსურიდან საქონელში 555) |
| 15 | 02 06 | სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 750 000 | |
| 16 | - | სოფელ კუჭულაში სასმელი წყლის გამანაწილებელი აუზის მოწყობა | 8 500 | არაფინანსუირ აქტივი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 17 | - | სოფელ დოლოგანში ადმინისტრაციული შენობისა და ამბულატორიის რეაბილიტაცია | 48 400 | არაფინანსუირ აქტივი |
| 18 | - | 26 მაისის ქ. N2-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია | 71 800 | არაფინანსუირ აქტივი |
| 19 | - | ბურღვა-აფეთქება | 12 000 | სხვა ხარჯები |
| 20 | 02 07 | არასაცხოვრებელი მეურნეობის ქსელში ჩართვა | 3 600 | სხვა ხარჯები |
| 21 | 02 02 01 08 | მილების შეძენა | 20 000 | არაფინანსუირ აქტივი |
| 22 | 03 01 02 | ნაგვის ურნების შეძენა | 20 000 | არაფინანსუირ აქტივი |
| 23 | 02 02 02 | შპს ქედის წყალკანალი | 2 190 | სუბსიდია |
| 24 | 04 01 02 01 | ქედის N1 ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია | 21 000 | არაფინანსური აქტივი |
| | | **ასიგნებების ჯამი** | **1 770 000** | **X** |
| | | **ს ხ ვ ა ო ბ ა** | **0** | **X** |

**აზრი გამოთქვეს:**

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე ვაჟა ბოლქვაძე დაინტერესდა შრომის ანაზღაურების მუხლში თანხის დამატების თაობაზე და ფარეხის მშენებლობისათვის გამოყოფილი თანხის რაოდენობის მოცულობის 50 000 (ორმოცდაათი ათას) ლარის საჭიროებაზე.

საკრებულოს წევრმა თემურ ავალიანმა კითხვით მიმართა მომხსენებელს ბაგა-ბაღების თანამშრომლების სწავლება-გადამზადებისათვის თუ იგეგმებოდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფა და როდის განხორცილედებოდა აღნიშნული პროექტი, ასევე კითხვით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს დანდალოს თემში გარე განათების პროექტის დასრულების შესახებ.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძე დაინტერესდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი ამბულატორიის მძღოლებისა და სოფლის ექთნების ხელფასის გაზრდასთან დაკავშირებით და რამდენად შესაძლებელია უახლოეს მომავალში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინება.

მომხსენებელმა ჯემალ ტაკიძემ კითხვებთან დაკავშირებით განმარტა, რომ ბაგა-ბაღების აღმზრდელების გადამზადებისათვის იანვრის თვეში მოხდა 150 000 (ასორმოცდაათი ათასი) ლარის გამოყოფა და მათი გადამზადება მიმდინარეობს ეტაპობრივად, ხოლო მძღოლებისა და ექთნების ხელფასის მომატებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის ბოლომდე თუ მოხდება ფინანსური რესურსების მოძიება, ამ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი ხელფასების მომატება. რაც შეეხებოდა მიკროავტობუსის ფარეხის მშენებლობისათვის 50 ათასი ლარის გამოყოფას, განმარტა რომ

აღნიშნულ შენობას სამომავლოდ სხვა დატვირთვაც ექნება და შესაძლებელი იქნება მომავალში შენობის გარკვეული ნაწილი ერთ ერთი მუნიციპალური ორგანიზაციის ოფისად იქნას გამოყენებული.

ქედის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან გორგილაძემ განმარტა, რომ სოფელ დანდალოში გარე განათების საკთხი განიხლიება სოფლის საერთო კრებაზე და შესაბამისად ფინანსდება სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული თანხებით, თუმცა რიგ შემთხვევაში მუნიციპალიტეტი საკუთარი ხარჯებით მოახდენს გარკვეული ნაწილის მოწყობას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვენბი არ გამოუთქვამთ.

**შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.**
**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე - 16**
**წინააღმდეგი -2 (ვაჟა ბოლქვაძე და რამინი ბერიძე)**

**დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.**
(დადგენილება **№2**).

**2. მოისმინეს: „„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

მომხსენებელმა სულიკო ჩხიკვაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა „„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (შემოსული დოკუმენტი №48/04, 31.05.2021 წელი) და განმარტა, რომ კერძოდ სამსახურს „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დაემატა ფუნქციები, რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე სოციალური მუშაობის განხორციელებასა და კოორდინაციას უზრუნველყოფს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვენბი არ გამოუთქვამთ

**შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.**
**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე - 18**
**წინააღმდეგი - 0**

**დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.**
(დადგენილება **№3**).

**3. მოისმინეს: „„საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის, საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 31 მაისის №13 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებელმა ამირან დევაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა „„საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის, საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 31 მაისის №13 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (შიდა დოკუმენტი №64-04; 03.06.2021 წელი) და განმარტა, რომ აღნიშნული დადგენილების პროექტი საკითხი ენობრივი სისწორის თვალსაზრისით შესათანხმებლად უნდა გადაიგზავნოს საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტში, ასევე მკაცრი აღრიცხვის ფორმის რეგისტრაციაში გატარების მიზნით ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში. საკრებულომ კომისიამ იმსჯელა დადგენილების მიღების ვადების გახანგრძლივებაზე და ნორმატიული აქტის გამოცემის პერიოდად ივლისის თვე განსაზღვრა.

**აზრი გამოთქვეს:**

შუქრი თურმანიძემ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ საკითხის განხილვა ივლისის თვეში უნდა მოხდეს, ზუსტი თარიღის განსაზღვრა ამ პერიოდისთვის შეუძლებელია, რაც შეეხებოდა ზეპირი მოსმენის ჩანიშვნას, მას დასკვნების მიღების შემდეგ შესაბამისი კომისიის მიერ იქნება განსაზღვრული.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

**შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**
**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე - 18**
**წინააღმდეგი - 0**

**დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**
(განკარგულება **№16**).

**4. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებელმა სულიკო ბოლქვაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (შემოსული დოკუმენტი №50/04; 04.06.2021 წელი) და განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის საკითხი, ხელს შეუწყობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების - საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობას.

**აზრი გამოთქვეს:**

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარე ვაჟა ბოლქვაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგელი საკითხის დაჩქარებულ განხილვას შეუძლებელია არ მოყვეს უზუსტობა და სხვისი მართლზომიერი მიწების გადაფარვა, რაც შემდგომ გამოიწვევს პრობლემებს.

მომხსენებელმა სულიკო ბოლქვაძემ განმარტა, რომ საკადასტრო კოდი მინიჭებული აქვს მიწის ნაკვეთებს, რაც გამორიცხავს მსგავს შეცდომას, რადგანაც წარმოდგენილი ტერიტორია არის დარეგისტრირებული, შესაბამისად მოწოდებულია ყველა საჭირო დოკუმენტი, მათ შორის მიწის ნაკვეთის ნახაზები, რომლითაც დასტურდება, რომ მომიჯნავედ არსებულ ნაკვეთებთან არ არის გადაფარვაში. ასევე წლების განმავლობაში ეს ტერიტორია გაცემულია უზუფრუქტის ფორმით, რა დროსაც არცერთი სადავო შენიშვნა არ შემოსულა მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებში.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

**შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**
**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე - 18**
**წინააღმდეგი - 0**

**დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**
(განკარგულება **№17**).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე შუქრი თურმანიძემ 12:00 სთ-ზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: შუქრი თურმანიძე

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი
სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში ნონა თებიძე